ბერტრან რასელი

დასავლური ფილოსოფიის ისტორია

წიგნი მესამე

(თანამედროვე ფილოსოფია)

ქართული თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა iBooks

თბილისი / 2023

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Bertrand Russell, History of Western Philosophy and its Connection with Political and Social Circumstances from the Earliest Times to the Present Day, George Allen and Unwin Ltd, 1946
First published 1946
by George Allen & Unwin Ltd, London
First published in Routledge Classics 2004
by Routledge
2 Park Square, Milton Park, Abingdon, Oxon OX14 4RN
711 Third Avenue, New York, NY 10017
Routledge is an imprint of the Taylor & Francis Group, an informa business
© 1996 The Bertrand Russell Peace Foundation Ltd
Typeset in Joanna by RefineCatch Ltd, Bungay, Suffolk
All rights reserved. No part of this book may be reprinted or reproduced or utilized in any form or by any electronic, mechanical, or other means, now known or hereafter invented, including photocopying and recording, or in any information storage or retrieval system, without permission in writing from the publishers.
Authorised translation from the English language edition published by Routledge, a member of the Taylor & Francis Group, copyright of The Bertrand Russell Peace Foundation

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის
ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი

EAST EUROPEAN UNIVERSITY
Varlam Cherkezishvili Centre for Interdisciplinary Studies

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
რედაქტორი: გიორგი თავაძე
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია

მეორე შესწორებული გამოცემა

გამომცემლობა „iBooks“ 2023

© გამომცემლობა „iBooks“

ISBN 978-9941-8-5934-2 (სამივე წიგნის)
ISBN 978-9941-8-5937-3 (მესამე წიგნის)

დიმიტრი უჩანეიშვილი არის ავტორი და მთარგმნელი, რომელიც ძირითადად ფილოსოფიური ტექსტების თარგმნით არის დაკავებული. მის მიერ ნათარგმნი ნაშრომების ავტორებს შორის არიან მ. მამარდაშვილი, დ. ჰიუმი, ჯ. ბერკლი, ლ. შესტოვი, ნ. ბერდიაევი, ჯ. რემსბერგი, ს. კირკეგორი და სხვები.

გიორგი თავაძე არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახელობის ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი. მისი კვლევის სფეროებია: უმაღლესი განათლების ფილოსოფია, ინტერდისციპლინური პოსტკოლონიური კვლევები, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფია, იდეების ისტორია, ფილოსოფიური გეოგრაფია.

სარჩევი

რედაქტორისწინასიტყვაობა.....7

წიგნი მესამე. თანამედროვე ფილოსოფია

ნაწილი I. აღორძინებიდან ჰიუმამდე.....9
თავი I. ძირითადი მახასიათებლები.....9
თავი II. იტალიური აღორძინება.....14
თავი III. მაკიაველი.....24
თავი IV. ერაზმუსი და მორი.....34
თავი V. რეფორმაცია და კონტრრეფორმაცია.....47
თავი VI. მეცნიერების წინსვლა.....50
თავი VII. ფრენსის ბეკონი.....69
თავი VIII. ჰობსის „ლევიათანი“.....74
თავი IX. დეკარტი.....89
თავი X. სპინოზა.....102
თავი XI. ლაიბნიცი.....117
თავი XII. ფილოსოფიური ლიბერალიზმი.....135
თავი XIII. ლოკის შემეცნების თეორია.....144
თავი XIV. ლოკის პოლიტიკური ფილოსოფია.....160
ა. მემკვიდრეობითობის პრინციპი.....160
ბ. ბუნებრივი მდგომარეობა და ბუნებრივი კანონი.....167
გ. საზოგადოებრივი ხელშეკრულება.....175
დ. საკუთრება.....180
ე. კონტროლი და შეკავება.....184
თავი XV. ლოკის გავლენა.....189
თავი XVI. ბერკლი.....196
თავი XVII. ჰიუმი.....210
ნაწილი II. რუსოდან ჩვენს დრომდე.....228
თავი XVIII. რომანტიზმი.....228

თავი XIX. რუსო....240
თავი XX. კანტი....260
ა. გერმანული იდეალიზმი ზოგადად....260
ბ. კანტის ფილოსოფიის მონახაზი....264
გ. სივრცისა და დროის კანტისეული თეორია....274
თავი XXI. სააზროვნო ნაკადები XVIII საუკუნეში....281
თავი XXII. ჰეგელი....294
თავი XXIII. ბაირონი....314
თავი XXIV. შოპენჰაუერი....321
თავი XXV. ნიცშე....329
თავი XXVI. უტილიტარისტები....345
თავი XXVII. კარლ მარქსი....355
თავი XXVIII. ბერგსონი....366
თავი XXIX. უილიამ ჯეიმზი....389
თავი XXX. ჯონ დიუი....399
თავი XXXI. ლოგიკური ანალიზის ფილოსოფია....410

სახელთა საძიებელი....420

რედაქტორის წინასიტყვაობა

„ჭეშმარიტება მოკაშკაშე ქალღმერთია, მუდამ ბურუსით მოცული, მუდამ შორეული, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს ჩასწვდები, მაგრამ რომელიც იმსახურებს მთელ იმ შემართებას, ადამიანურ სულს რომ გააჩნია“ – ეს სიტყვები ეკუთვნის XX საუკუნის გამორჩეულ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს, ბერტრან რასელს (1872-1970 წწ.), რომელმაც თავისი თითქმის საუკუნოვანი ცხოვრების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის, მათემატიკისა და ლოგიკის განვითარებაში. გარდა ამისა, რასელი იყო აქტიური პაციფისტი, რის გამოც პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ იგი გარკვეული პერიოდით დააპატიმრა კიდეც. რასელის საზოგადოებრივი აქტიურობა არც მისი ცხოვრების გვიანდელ წლებში განელებულა. 1955 წელს ალბერტ აინშტაინთან და მსოფლიოს სხვა წამყვან მეცნიერებთან ერთად მან გამოაქვეყნა ე.წ. „რასელ-აინშტაინის მანიფესტი“, რომელშიც ხელმომწერები მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერებს ბირთვული იარაღიდან მომდინარე საფრთხეებს შეახსენებდნენ. ხუთი წლით ადრე, 1950 წელს, რასელმა მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურაში „თავისი მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი შრომებისთვის, რომლებშიც იგი მხარს უჭერს ჰუმანისტურ იდეალებსა და აზროვნების თავისუფლებას“.

ბერტრან რასელი 70-ზე მეტი წიგნისა და 2000-ზე მეტი(!) სტატიის ავტორი გახლდათ. მათ შორისაა: *Principia Mathematica* („მათემატიკის საფუძვლები“, სამ ტომად, 1910-1913 წწ., ალფრედ ნორთ უაიტჰედთან ერთად), „ფილოსოფიის პრობლემები“ (1912 წ.), „პოლიტიკური იდეალები“ (1917 წ.), „შესავალი მათემატიკურ ფილოსოფიაში“ (1919 წ.), „ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია“ (1920 წ.), „გამოკვლევა მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების შესახებ“ (1940 წ.), „დასავლური ფილოსოფიის ისტორია“ (1945 წ.), „ადამიანური ცოდნის მასშტაბი და საზღვრები“ (1948 წ.), „ძალაუფლება და ინდივიდი“ (1949 წ.), „აქვს თუ არა ადამიანს მომავალი?“ (1961 წ.) და სხვ.

„დასავლური ფილოსოფიის ისტორია“, რომლის პირველ ქართულ თარგმანსაც წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს, რასელის ერთ-ერთი

ბესტსელერია („ფილოსოფიის პრობლემებთან“ ერთად). პროფ. ენდრიუ ირვინი, რომელიც „სტენფორდის ფილოსოფიურ ენციკლოპედიაში“ ბერტრან რასელის შესახებ სტატიის ავტორია, აღნიშნავს, რომ „დასავლური ფილოსოფიის ისტორიამ“ ხელი შეუწყო XX საუკუნეში მთელი რიგი ისტორიული ფიგურების (წინასოკრატელებიდან ლაიბნიცის ჩათვლით) მიმართ ინტერესის განახლებასა და მათ მეცნიერულ შესწავლას. მართალია, ცალკეული მოაზროვნეებისა და ისტორიული პერიოდების შესახებ რასელის მსჯელობებს ხშირად შეიძლება არ დავეთანხმოთ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „დასავლური ფილოსოფიის ისტორია“ არ გვთავაზობს საინტერესო განაზრებებს ფილოსოფიის ისტორიის ჭრილში. რასელის გამჭრიახი ანალიზი და მისთვის დამახასიათებელი იუმორი აღნიშნულ ნაშრომის კითხვას საინტერესო ინტელექტუალურ მოგზაურობად აქცევს.

„დასავლური ფილოსოფიის ისტორიის“ თარგმანი შეასრულა დიმიტრი უჩანეიშვილმა. მის თარგმანებსაც უკვე იცნობს ფილოსოფიური ლიტერატურით დაინტერესებული ქართველი მკითხველი (მერაბ მამარდაშვილი, „ცნობიერება და ცივილიზაცია“, „კარტეზიანული განაზრებანი“, „რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები, „ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში“; დ. ჰიუმი, „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“; ჯ. ბერკლი, „ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ“; ე. ბერნეისი, „პროპაგანდა“; ჯ.ს. მილი „სოციალიზმი“ და სხვ.). წინამდებარე თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით: Bertrand Russell, *History of Western Philosophy* and its Connection with Political and Social Circumstances from the Earliest Times to the Present Day, George Allen and Unwin Ltd, 1946.

წიგნი მესამე. თანამედროვე ფილოსოფია

ნაწილი I. აღორძინებიდან ჰიუმამდე

თავი I. ძირითადი მახასიათებლები

ისტორიული პერიოდი, რომელსაც, ჩვეულებრივ, „ახალ დროს“ უწოდებენ, ხასიათდება მსოფლმხედველობით, რომელიც მრავალი მიმართებით განასხვავებს მას შუა საუკუნეებისგან. ამ უკანასკნელთაგან აღსანიშნავია ორი: ეკლესიის ავტორიტეტის კლება და მეცნიერების ავტორიტეტის ზრდა. სხვა დანარჩენი ამ ორს უკავშირდება. ახალი დროის კულტურა უფრო სეკულარულია, ვიდრე კლერიკალური. სახელმწიფო სულ უფრო ანაცვლებს ეკლესიას როგორც მმართველი ძალა, რომელიც კულტურას აკონტროლებს. ხალხთა მართვის სადავეები თავდაპირველად მეფეთა ხელთ იყო. შემდეგ, როგორც ეს ანტიკურ საბერძნეთში მოხდა, მეფეები თანდათანობით დემოკრატიამ ან ტირანიამ ჩაანაცვლა. ეროვნული სახელმწიფოს ძალაუფლება და ფუნქციები, რომლებსაც ის ასრულებდა, თანდათანობით იზრდებოდა მთელი პერიოდის განმავლობაში (უმნიშვნელო რყევების გამოკლებით), მაგრამ უმეტეს ხანს სახელმწიფოს იმაზე ნაკლები გავლენა ჰქონდა ფილოსოფოსების შეხედულებებზე, ვიდრე ეკლესიას შუა საუკუნეებში. ფეოდალურმა არისტოკრატიამ, რომელსაც ალპების ჩრდილოეთით XV საუკუნემდე შესწევდა ძალა, შეწინააღმდეგებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, თავდაპირველად პოლიტიკური, შემდეგ კი ეკონომიკური მნიშვნელობაც დაკარგა. იგი ჩაანაცვლა მეფემ, რომელიც მდიდარ ვაჭრებთან იყო კავშირში. ეს ორი მხარე სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული თანაფარდობით ინაწილებდა ძალაუფლებას. არსებობდა მდიდარი ვაჭრების არისტოკრატიულ ფენაში გადასვლის ტენდენცია. ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების დროიდან დაწყებული, დემოკრატია, თანამედროვე აზრით, მნიშვნელოვან პოლიტიკურ იარაღად იქცა. დემოკრატიისგან განსხვავებით, რომელიც კერძო საკუთრებას ეფუძნება, სოციალიზმმა სახელმწიფო ძალაუფლება პირველად 1917

წელს შეიძინა. თუმცა მმართველობის ეს ფორმა, თუკი ის გავრცელდება, აშკარად გამოიწვევს კულტურის ახალი ფორმის შემოტანას. კულტურა, რომელთანაც ჩვენ გვექნება საქმე, ძირითადად „ლიბერალურია“, ანუ ისეთი, რომელიც ყველაზე ბუნებრივად ასოცირდება ვაჭრობასთან. მაგრამ აქედან არსებობს მნიშვნელოვანი გამონაკლისები, განსაკუთრებით, გერმანიაში. ფიხტესა და ჰეგელის მსოფლმხედველობა, თუ ამ ორ მაგალითს განვიხილავთ, სრულებით არ უკავშირდება ვაჭრობას. მაგრამ ასეთი გამონაკლისები მათი ეპოქისთვის დამახასიათებელი არ არის.

ეკლესიის ავტორიტეტის უარყოფა, რაც ახალი დროის ნეგატიური მახასიათებელია, იწყება მეცნიერების ავტორიტეტის აღიარებამდე, რაც პოზიტიურ მახასიათებელს წარმოადგენს. იტალიურ აღორძინებაში მეცნიერება უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ეკლესიისადმი წინააღმდეგობა ადამიანთა გონებაში ანტიკურობას უკავშირდებოდა და კვლავაც წარსულს უმზერდა, მაგრამ უფრო დაშორებულ წარსულს, ვიდრე ადრეული ეკლესიისა და შუა საუკუნეების დროა. პირველი სერიოზული მეცნიერული გარღვევა იყო 1543 წელს კოპერნიკის თეორიის გამოქვეყნება, მაგრამ ამ თეორიამ გავლენა მანამდე ვერ მოიპოვა, სანამ XVII საუკუნეში ის კეპლერმა და გალილეომ არ განავითარეს. შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მეცნიერებასა და დოგმას შორის, რომელშიც ტრადიციონალისტები უიმედოდ იბრძოდნენ ახალი ცოდნის წინააღმდეგ.

მეცნიერების ავტორიტეტი, რომელსაც ახალი დროის ფილოსოფოსთა უმეტესობა აღიარებს, ერთობ განსხვავდება ეკლესიის ავტორიტეტისგან, რადგან მას ინტელექტუალური და არა დიქტატზე დამყარებული ფორმა აქვს. არავინ ისჯება მისი უარყოფისთვის. არავითარი ანგარიშიანობა არ ახდენს გავლენას მათზე, ვინც მას იღებს. ის გაბატონებულ მდგომარეობას იძენს მხოლოდ და მხოლოდ გონებისადმი შინაგანი ორიენტირებულობით. უფრო მეტიც, ის ფრაგმენტული და ნაწილობრივი ავტორიტეტია. ეკლესიური დოგმისგან განსხვავებით, ის არ აყალიბებს დასრულებულ სისტემას, რომელიც ადამიანურ მორალს, ადამიანურ იმედებსა და სამყაროს წარსულ და მომავალ ისტორიას მოიცავს. ის მხოლოდ იმის შესახებ გამოთქვამს, რაც მოცემულ მომენტში წარმოდგება როგორც მეცნიერულად დამტკიცებული. ეს კი ციცქნა კუნძულია არცოდნის ოკეანეში. მეცნიერული ავტორიტეტი კიდევ ერთი ნიშნით განსხვავდება ეკლესიურისგან, რომელიც თავის შეხედულებებს აბსოლუტურ უეჭველობასა და მარადიულ უცვლელობას ანიჭებს: მეცნიერული

განცხადებები კეთდება ექსპერიმენტის წესით, ალბათობის საფუძველზე და განიხილება, როგორც ცვლილებას დაქვემდებარებული. ეს წარმოშობს გონების განწყობილებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება შუა საუკუნეების დოგმატიკოსის გონებრივი განწყობილებისგან.

ამ მომენტამდე მე ვსაუბრობდი თეორიული მეცნიერების შესახებ, რაც სამყაროს გაგების მცდელობას წარმოადგენს. პრაქტიკული მეცნიერება, რომელიც სამყაროს შეცვლის მცდელობაა, თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო და მისი მნიშვნელობა განუხრელად იზრდებოდა, სანამ მან თითქმის არ გამოდევნა თეორიული ცოდნა ადამიანთა გონებიდან. მეცნიერების პრაქტიკული მნიშვნელობა პირველად ომთან კავშირში იქნა აღიარებული. გალილეომ და ლეონარდომ სახელმწიფო სამსახური ფორტიფიკაციის ხელოვნებისა და არტილერიის სრულყოფის პროექტების მეშვეობით მოიპოვეს. მათი დროიდან დაწყებული, მეცნიერთა როლი ომში სულ უფრო იზრდებოდა. მხოლოდ მოგვიანებით დაიწყეს მათ არსებითი როლის შესრულება სამანქანო წარმოების განვითარებასა და თავდაპირველად – ორთქლის, შემდეგ კი – ელექტროენერგიის მოხმარებასთან ადამიანების ზიარებაში, რასაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი XVIII საუკუნის დასასრულამდე არ მოჰყოლია. მეცნიერების ტრიუმფის უმთავრესი მიზეზი მისი პრაქტიკული სარგებლიანობა იყო. არსებობს მცდელობა, რომელიც ესწრაფვის, განაცალკეოს პრაქტიკული ასპექტი თეორიულისგან, რითიც მეცნიერება სულ უფრო მეტად იქცევა ტექნიკად და სულ უფრო ნაკლებად – მოძღვრებად, რომელიც სამყაროს ბუნებას განმარტავს. ასეთმა თვალსაზრისმა ფილოსოფოსთა შეხედულებაში უკანასკნელ ხანს შეაღწია.

ეკლესიის ავტორიტეტისგან გათავისუფლებამ ინდივიდუალიზმის ზრდა გამოიწვია და ანარქიასაც კი მიაღწია. ინტელექტუალური, მორალური და პოლიტიკური დისციპლინა აღორძინების ეპოქის ადამიანთა გონებაში სქოლასტიკურ ფილოსოფიასა და საეკლესიო მართვასთან იყო ასოცირებული. სქოლასტიკოსთა არისტოტელესეული ლოგიკა შეზღუდული იყო, მაგრამ გარკვეული სახის სიზუსტის სწავლის შესაძლებლობას მაინც იძლეოდა. როდესაც ლოგიკის ეს სკოლა არაპოპულარული გახდა, ის მყისვე უკეთესი მოძღვრებით კი არ ჩანაცვლდა, არამედ ანტიკური მოდელების ეკლექტიკური მსგავსებით. XVII საუკუნემდე ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა. XIV-XV საუკუნეების ანარქია იტალიაში თავზარდამცემი იყო და მაკიაველის დოქტრინების წარმოშობას შეუწყო ხელი. იმავდროულად, გონებრივი ხუნდებისგან გათავისუფლებამ ხელოვნებასა და ლიტერატურაში გენიალურობის